ცნობის ფურცელი

№ 2558 ორშაბათი, 19 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2558

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გიორგი, ივანე თეიმურაზის ძენი, ნინა და ელისაბედ თეიმურაზის ასულნი და შიო ზაქარიას ძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი—დაუვიწყარის მამისას, ხოლო უკანასკნელნი საყვარელის ძმისას

თეიმურაზ ზაქარიას ძის კაპანაძისას.

გამოსვენება იქნება სამშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზე ქ. გორში, საკუთარის სახლიდან გორის ღვთის მშობლის მიძინების სობოროში. პანაშვიდები დილით 10 საათზე და საღამოთი 8 საათზე. (1—1)

პრაპორშჩიკი **აზნ. ზურაბ ალექსანდრეს ძე ნაკაიძე** და იმის ქალიშვილები—**მაკრინე, ნინო, ფატი, ელენე** და **ეკატერინე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—უძვირფასესის შვილის და მეორენი ერთად-ერთის ძმის, ბათუმის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

ალექსანდრე (ალიოშა) ნაკაიძისას.

გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს, 20 ივლისს დილის 10 საათზე. დაასაფლავებენ სოფელ სამლვაიოს, საგვარეულო აკლდამაში.

გრიგოლ და გაბრიელ ანდრიას ძენი ნანუაშვილები, მარიამ ანდრიას ასული ალხაზიშვილისა, ელისაბედ და სოფიო დავითის ასულნი ნანუაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი სამნი—დედისა, ხოლო უკანასკნელნი დედამთილის

სოფიო ფირალის ასულის ნანუაშვილისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ სამშაბათს, 20 ივლისს, დილის ცხრა საათზე საკუთარ სახლიდან (მიხეილის ქუჩა № 73) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდი დღეს, 19 ივლისს საღამოს 8 საათზე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
გ. ა. ხუციშვ.—შინაგანი და ბავშვებისა—1—3 საათ. ყოველ დღე.
იძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საშვებიო და ბავშ. (შემ ღწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტუჩიშვილაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მარიგებითი კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით,
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაევი
მიიღებს შიგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დღისით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.
დასაწყისი მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ახალი ამბავი

◆ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია: „25 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება, რომლის ძალით **სახელმწიფო წეს-რიგის გაძლიერებული დაცვის დებულება** ქალაქებ ტფილისსა, ბათუმს, ბაქოს (მაზრითურთ), განჯას, ნუხას, შუშას და ალექსანდროპოლში უნდა დარჩეს კიდევ ერთის წლით, ე. ი. 1905 წლის 5 სექტემბრამდე“.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, ადგილობრივ მთავრობას დეპეშა მიუღია ქალაქ რეშტიდან (სპარსეთში) რუსეთის კონსულისაგან იმის შესახებ, რომ რეშტში **ხოლერა** გაჩენილა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში პეტერბურგს მოხდება რუსეთის ყველა **სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა კრება.** კავკასიის ოლქის მზრუნველი, ბ-ნი ზავადსკი, როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, აგვისტოს პირველ რიცხვებში გაემგზავრება პეტერბურგს.

◆ **ამიერ-კავკასიის საპოლიციო-საეროზო დარაჯთა** შესანახად მომავალ სამის წლის განმავლობაში ამიერ კავკასიის საეროზო თანხიდან გადაიდება ყოველ წლობით 2.362.460 მან.

◆ „კავკაზ“ში ვკითხულობთ: „ერევნის გუბერნატორის განკარგულებით, **პოლიციამ დააპატიმრა 7 კაცი,** რომელთაც ეჭვი ედებათ, რომ სურმალინის მაზრის უფროსის, ბოგუსლავსკის, მკვლელობაში მონაწილეობა მიიღესო“.

◆ 27, 29 და 31 ივლისს პიატიგორსკსა, ჟელეზნოვოდსკსა და კისლოვოდსკში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ხსენებულ სამკურნალო ქალაქებში სააგარაკო ადგილები.

◆ თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის მმართველობა აცხადებს, რომ სასწავლებლის 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში წელს, უადგილობის გამო, მოწაფეებს აღარ მიიღებენ; მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახაზინო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და ბავშის მიღება ამ ვაკანსიაზე მოხდება კენჭის ყრით, რომელიც 5 ენკენისთვისათვის დაინიშნა.

◆ მღ. ეგ. ბერულავა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „გულითად მადლობას ვუცხადებ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე რწმუნებულ ჩემდამო ყინოთის ზედ-მიწერილის ეკლესიის მხრითაც იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ამავე ეკლესიის სასარგებლოდ: 1) უუგანათლებულესმა პრინცესამ სალომე მიურატისამ—ბარძიმ-ფეხშუმი, კამარა, ლანგარი და კოვზი, ოქროთი დაფერილი—ღირებული რვა თუმნად. 2) აზნაურის ტარასი ახველდიანის ქვრივმა ალათი ჯ. ფარიძის ასულმა—სამრეკლოის მასალა და სახარება—თუთხმეტ თუმნად; 3) მღვდელმა იოანნე ბერულავამ ერთი ხელი ყოველივე სამღვდელო შესამოსელი და დაფარნები, ღირებული სამ თუმნად; 4) მღვდელმა გიორგი ჩაგინავამ ხუთი სხვა-და-სხვა ხატი და ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი, ღირებული ოც-და-ხუთ მანეთად. 5) ოსტატმა პეტრე კობახიძემ—სამრეკლოის ხელობა, ღირებული ოც-და-ხუთ მანეთად. 6) ერთი წყვილი ბაირალი და ერთი კანდელი—ოც-და-ათ მანეთად—იასონ კუჭუს ძე წულაიამ. 7) მოვაჭრე იონა კოკაიამ—წყვილი შანდალი, ღირებული თორმეტ მანეთად“.

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. პერმში მიუყვანიათ დატყვევებულ იაპონელთა ჯგუფი. ტყვეთა შორის ერთი ექიმია, ერთი აფიცერი და რამდენიმე განათლებული კაცი და ქალი; სხვები კი უბრალო მუშები არიან. ტყვეები ყაზარმებში დააყენეს. იაპონელებს ამ თავის ახალ ბინაზე სულ მოკლე ხანში გაუმართავთ სხვა-და-სხვა სახელოსნოები და მხნედ შესდგომიან საქმეს. ზოგიერთი მათგანნი ადგილობრივ ფოტოგრაფიებში შესულან მხატვრებად, რამდენიმე იაპონელი აგრედვე პერმის მანქანების ქარხანაში მიუღიათ.

◆ პერმის გუბერნიიდან კორრესპონდენცია დაბეჭდილი გაზ. „ნოვ. ვრ.“-ში. სწერენ, ამ გუბერნიის შუაგულ სამ მაზრაში ისეთი სივიწროვეა მიწისა გლეხთა შორის, რომ ბევრს ერთი დესეტინა ადგილიც არა აქვს თავისი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად. გლეხები იძულებულნი არიან ან ახლო მდებარე სახელმწიფო ადგილები აიღონ იჯარით ან სადმე გადაიხვეწნენ ლუკმა პურის საშოვრად. 1885 წელს გამოცემულ კანონის ძალით, სახელმწიფო მამულების გამგეობათ უპირატესობა უნდა მისცენ გლეხთა საზოგადოებებს ადგილების იჯარით გაცემის დროს, მაგრამ ამ კანონს ყურადღებას არავინ აქცევს თურმე და სახელმწიფო მამულებს კერძო პირები, უმთავრესად მოვახშეები, იღებენ იჯარით, რათა შემდეგ გლეხები შეავიწროვონ და ტყავი გააძრონ.

◆ პეტერბურგის ზოგიერთ შეძლებულ მცხოვრებთ განუზრახავთ, პროვინციელ თანამოაზრეებთან ერთად, გამართონ პეტერბურგში ახალი ტიპის სასწავლებელი, რომელშიაც სწავლება მთელი წლის განმავლობაში იქნება: საზაფხულოდ არ გაანთავისუფლებენ მოწაფეთ, ხოლო წლის განმავლობაში ყოველ-დღიურ გაკვეთილებს შეუმცირებენ და ზაფხულში ქალაქ გარედ წაიყვანენ მოწაფეთ განსაკუთრებით მეურნეობის სწავლებისათვის მოწყობილ მამულში საცხოვრებლათა და სამუშაოდ.

◆ რუსეთის რკინის გზებზე მოსამსახურეებს ალუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქნას ქალაქებში საერთო სადგომები-პანსიონები რკინის გზის მოხელეთა შვილებისათვის ამნაირად, იმ მოხელეთ, რომელნიც ქალაქებზე მოშორებით ცხოვრობენ, შეძლება მიეცემათ შვილები ქალაქის საშუალო სასწავლებლებში შეიყვანონ და მოხსენებულ პანსიონში მიაბარონ საცხოვრებლად.

◆ ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის მთავარ-გამგეობამ გაფრთხილება გამოუცხადა ქ. ულეაბორგის გაზეთს „კაიპუ“-ს.

◆ ციმბირის გაზეთების სიტყვით, ბაიკალის გარეშემო რკინის გზაზე მოიჯარადრეთა შორის ჩვეულებად გადაქცეულა მუშების ქირის დაჭერა, რის გამო მუშები არა ერთხელ გაფიცულან და დაუნებებიათ თავი მუშაობისათვის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში ალუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა საგუბერნიო ქალაქების გამგეობებთან დაარსებულ იქნას საშუამავლო ბიუროები ხელოსანთა და მუშათათვის, როგორც ეს ჩვეულებად არის შემოღებული გერმანიაში. მაგალითად, გერმანიის ქ. მიუნხენის ამგვარ ბიუროს წელს სამუშაოს ყველა მძებნელთა 3/4 დაუკმაყოფილებია.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გაუგზავნა სამეურნეო საზოგადოებათ მათი აზრის შესატყობათ წესდების პროექტი, რომელიც შემოღებულ უნდა იქნას მეურნეობაში მანქანებით მომუშავეთა უბედურ შემთხვევათაგან დასაცველად.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ 15 აგვისტოს შემდეგ იუსტიციის მინისტრი სოჩას, ქუთაისსა და ბათუმს გაემგზავრება.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია არ მიიწვიოს წელს რკინის გზებზე მოსამსახურეთა სათათბირო კრებანი.

თეატრი

ქვემო-მაჩხაანი. თითქმის ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში თეატრი დაარსდა ბოქაულის თავად ერისთავის მეცადინეობით. თითონ შენობა ვერ აღმოჩნდა მკვიდრი—ერთი კედელი გასქდა და კერი სრულებით ჩამოწვა. ამ ერთი თვის წინად ჩვენი თეატრი სამწუხარო სურათს წარმოადგენდა—ნანგრევის მეტს ვერას ნახავდით. ჩვენდა საბედნიეროდ, ბ-ნმა ვ. ა. ნასიძემ იკისრა თეატრის საქმე, თავის საკუთარის ხარჯით გაგვიკეთა სცენა, შეადგინა მოყვარეთა დასი ადგილობრივ მასწავლებლებისაგან და წარმოდგენა გაგვიმართა; წარმოდგენილი იქმნა „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ ვ. გუნიასი. პიესამ რიგიანად ჩაიარა

ი.—შვილი

წერილი ქვემო-იმერეთიდან

რომ სწავლა-განათლების სურვილი ხალხში თან-და-თან ძლიერდება, ამას არც ფიცი უნდა და არც მტკიცება. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენად კმაყოფილდება ამ მხრით ხალხის სამართლიანი მოთხოვნილება? თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედარებით მოთხოვნილებასთან პირველ დაწყებითი სკოლების რიცხვი ისე მცირეა სოფლებში, რომ დიდი იქნება, თუ მთხოვნელთა ნახევარი რიცხვი დაკმაყოფილდა. მთელ ქვემო იმერეთში 400 მეტი კომლი მცხოვრები მოდის თითო სკოლაზე. დ. ხონი მდიდარია თავისი სხვა-და-სხვა ტიპის სკოლებით, მაგრამ ხალხის ჩივილი აქაც კი ისმის ბავშვთა მიუღებლობაზე უადგილობის გამო. დიდი-ჯიხაიში, სამტრედია, კულაში და სხვა ამ გვარი დაწინაურებული ადგილები ქვემო იმერეთში სწავლა-განათლების მხრივ მთლად ჩამორჩენილ სოფლებად უნდა ჩავთვალოთ: იქ თითო ორ-ორ კლასიანი სასწავლებლები ძლივსღა ბეუტავენ, სადაც ყოველ-წლივ 90—100 მისაღები მთხოვნელი ბავშვი თავს იმტვრევს, რადგან თითოეული სკოლა 300—400 მოწაფეს ძლივს იტევს. საჭიროა—და ძლიერ საჭირო, რომ ამ სოფლებში სამოქალაქო სასწავლებლები გაიხსნებოდეს, მით უმეტეს, რომ ხალხი მზად არის ამ საქმეს შეძლებისა დაგვარად ყოველ-გვარი დახმარება გაუწიოს, თუ რომ სოფლის განაჩენი მთავრობისაგან დამტკიცებული იქმნება.

სამინისტრო სკოლების გარდა ქვემო იმერეთში საკვირაო სკოლებიც იყო, მაგრამ მათ კარგა ხანია ანდერძი დატოვეს. დაგვრჩენია სამკითხველოები და ამათაც, ვგონებ, ბოლო ეღებათ. მთელ ქვემო იმერეთში შეიძლება 4—5 სამკითხველო მოძებნოთ და, საუბედუროთ, ვერც ერთს ხეირიან ნიადაგზე დაყენებულს ვერ ნახავთ. შედარებით სხვებთან, ხონის სამკითხველო უფრო წინ უნდა იდგეს; აქ ხალხიც უფრო მდიდარია, ინტელიგენციაც უფრო ძლიერი, მაგრამ სიტყვებმა მარტო რა გააკეთოს!.. სიტყვების რახა-რუხით ყველა მოსაქმეა, ყველა საზოგადო მოღვაწე (ეს ხომ ჩვენი საერთო სენია), მაგრამ საქმით კი რა მოგახსენოთ! ასეთ საქმიანობას აქაური ბიბლიოთეკის მდგომარეობაც ამტკიცებს...

ასევე ითქმის დიდ-ჯიხაიშის სამკითხველოზედაც. ბიბლიოთეკისთვის ნამდვილი გულ-შემატკივარი აქაც ფარნით საძებარია, აბა რა დახმარებაა, ან და ბიბლიოთეკამ რა გვარად უნდა იარსებოს, როცა წლისა და ორი წლის საწევრო ფული ჯერ კიდევ ბევრს არ შემოუტანია?

ბიბლიოთეკის მმართველის მეცადინეობით ამ მოკლე ხანში სამკითხველოსთვის საკუთარი შენობა უნდა აშენდეს. საქმე უკვე დაწყებულია, ვნახოთ, როგორ დახმარებას გაუწევენ ამ საქმეს ჩვენი სამკითხველოს გულ-შემატკივარნი!

ვგონებ, მთელმა ზაფხულმა ისე გაიაროს, რომ დიდ-ჯიხაიშში ერთ წარმოდგენასაც ველარ ვეღირსოთ. წარსულ წლებში აქ ყოველ-ზაფხულობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ორჯერ-ან ერთჯერ მაინც წარმოდგენები იმართებოდა. წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრებოდა, მადლიერიც იყო და შემოსავალიც გვარიანად იკრიბებოდა, რითაც ადგილობრივი სამკითხველო ცოტათი მაინც სულდგმულობდა. წელს კი ყველა ამას მოკლებული ვართ და ხალხის მხრითაც სამდურავი გაისმის. ადგილობრივი სცენის მოყვარენი, სიმართლე უნდა ვთქვათ, ამ საქმეს არას დროს გვერდს არ უვლიდნენ და თუ წელს წარმოდგენა ვერ გამართეს, ეს იმის მიზეზია, რომ ნებართვა ვერ აიღეს. დიდ გაჭირვებას ითმენს სოფლის ხალხი ზაფხულობით საბალახო ადგილების უქონლობისა გამო. ზაფხულში, როცა ყანები თესია, საბალახო ადგილები ნაკლებად მოიპოვება. ვისაც შეძლება შესწევს, საბალახო ადგილს მემამულესაგან ქირაობს. უმეტესობა კი ბაწრით ხელში დაყვება თავის ორ-სამ სულ საქონელს და აძოვებს. გაშვებას ვერ ჰბედავს, რადგან ჯერ ყანების დაქცევას ერიდება და მერე—მემამულესაგან დაჭირვას და ფულის გადახდევინებას.

ორიოდე სიტყვა კიდევ ჩვენს მეაბრეშუმე-მოვაჭრე-ჩარჩებზე. ამ დალოცვილიშვილებმა რაც ტყავი წაიღეს, ვგონებ, კმაროდა მათ მსუნაგ მუცელთათვის და ეხლა იმ ორიოდე გროშსაც არ იძლევიან, რაც ხალხს პარკის ფულად ერგება. 20—25 დღე სრულდება, რაც პარკ-აბრეშუმობა დამთავრდა და ზოგიერთ ჩვენ პატიოსან ჩარჩებს ნისიად წაღებულ პარკის ფული ჯერაც გადაუხდელი აქვთ თურმე. თვალ-ცრემლი მოადგებოდა მნახველს, როცა, ამ ხუთ-ექვს დღის წინად, სოფლის დედაკაცი, თვალ-ცრემლიანი მოვაჭრე-ადას თავისს ფულს თხოვდა. მართლაც და გულის მაგივრად ქვა უნდა ედოს მკერდში ადამიანს, რომ ასეთ საბრალო ხალხს ორიოდე გროში ხელიდან გამოსტაცოს, როგორც მას უნდა ისე ათარეშოს და შემდეგ, როდისმე დაუბრუნოს, მადლობაც არ უთხრას, ისე. ეჰ! სადახარ სიმართლევ!..

ბაგე.

წერილები

სოფ. ოფიშქვითი (იმერეთი). თითქმის სამი თვეა, რაც ჩვენს სოფელს ხეირიანი წვიმა არა ღირსებია და საშინელი გვალვა მეტის-მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს სარჩოს—სიმინდს. ჩვენში ერთად-ერთი არხია მდ. რიონიდან გამოყვანილი უფრო წისქვილებისთვის და არა სარწყავად. წელს გვალვის გამო წისქვილებზე ხელი აიღეს და ყანების რწყვა დაიწყეს, მაგრამ ამ წყლით სარგებლობს მხოლოდ ის, ვინც უფრო ღონიერი და მოხერხებულია და ვის ადგილშიც ის გადის. ღარიბი და საწყალი და ის, ვისაც ეს წყალი ეშორება, დაჩაგრულია. სათავე იწყება რიონიდან აზნ. ამირეჯიბის და მღივნის ადგილებიდან, გაივლის სოფლებს გეგუთს, მესხეთს, უკანეთს, ოფიშქვითსა და საყულიაში, სადაც ისევ ჩაერთვის მდ. რიონს. ყველაზე უფრო ამ წყლით სარგებლობენ ს. უკანეთის მკვიდრნი, სადაც ეს შტო იყოფება ორ ნაწილად, ერთი ნაწილი მიდის ს. ტყაჩირს და მეორე ოფიშქვითისაკენ. ამ არხის სათავე ხშირად ფუჩდება, ივსება ქვიშით და ხრეშით, ოფიშქვითლები თითქმის ყოველ კვირაში იქ მუშაობენ, სწმენდენ არხს და უშვებენ წყალს, მაგრამ გამოუშვებენ თუ არა, მაშინვე უკანეთლები მივარდებიან თოხებით და ნიჩბებით, უკეტენ ოფიშქვითლებს წყალს და თავიანთ ყანებს რწყავენ.

რომ ჰკითხოთ, რას ერჩით ოფიშქვითლებს, შრომას რად უკარგავთო, გიპასუხებენ: მამული ჩვენია და რადგან წყალი ჩვენ მამულში გადის, წყალიც ჩვენიაო. ერთი ჩხუბი და ვაი-ვაგლახი აქვთ ორივე სოფლელებს და მეზობლებშიაც დიდი ლანძღვა და გინებაა, არა მე მერგება წყალი და არა მეო. აქ არ არის წესიერება, რიგ-რიგზე და ჯერით არ ნაწილდება წყალი, თუმცა-კი ათს წელიწადზე მეტია წყლის მთავრობა დაყენებულია, მაგრამ, რადაც მიზეზით ეს საქმე წესიერად არ არის ჩვენში დაყენებული. სიმინდი მეტად გაგვიძვირდა, ქუთაისში ფუთი 1 მანეთი და 30 კაპეიკია. პურმაც თავი დაგვიკრა, ქცევაზე (900 ოთხ კუთხი საჟ.) 5 ფუთზე მეტი არ მოსულა. ბევრს აბრეშუმიც გაუფუჭდა და იმისმა ფასმა ხომ მეტად დაიკლო. 10—12 მანეთს ზევით არ გაყიდულა.

ის ვარ.

ს. საყულია (ქვემო იმერეთი). რაც სადგური მუხიანი დაარსდა და იმის ახლო-მახლო სოფლებს გაუადვილდათ საქონლის სხვა-და-სხვა ქალაქებისაკენ გზავნა, საყულიელები შეუდგნენ ბაღეულ მცენარეების თესვას, უფრო კომბოსტოსა და კარტოფილისას. ამ მცენარეებს მიწის ნიადაგმა ძლიერ შეუწყო ხელი და მაისს-ივნისში ამის წყალობით ყოველ წლივ დიდი ფული ტრიალებდა სოფელში. აქამდი ყველა ამას რამდენიმე კაცი ყიდულობდა ძლიერ იაფად და ჰგზავნიდა ქალაქ ბათუმში. ვაჭრებს ან თვითონ მიჰქონდათ და სამჯერ მეტს იღებდენ. ეს ვაჟბატონები სხვა ვაჭრებს სოფელში არ უშვებდნენ. თვითონ ურიგდებოდნენ ქალაქების მაზანდაში, სოფელში-კი თავისს სურვილზე სწყვეტავდნენ მაზანდას. სოფლელნიც ძალა-უნებურად ამათ სურვილს ემორჩილებოდნენ. შარშან აქეთ ამ პირით ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა და წელს თვითონ მოიხმეს ბათუმიდან ერთი ვაჭარი. ათვალიერა კომბოსტოს ბაღები, ძლიერ მოიწონა და შეჰპირდა სოფლელებს, კარგს ფასებში გაგისაღებთ, თუ ბევრს გამომიგზავნითო. ამის შემდეგ ადგილობრივ მყიდველთ უარი უთხრეს; მღ. პ. ჯინჭველაშვილის, ვასილ არეშიძის და კიდევ რამდენიმე გლეხის ჩაგონებით მთელმა სოფელმა შეადგინა ამხანაგობა „სამეურნეო საქონლის გამყიდავი“. ამხანაგობის წევრი ჯერ 50-მდეა და თან-დათან ემატება. ყოველი წევრი ვალდებულია ამხანაგობის გარდა თავისი საქონელი არავის მიჰყიდოს. ამხანაგობამ ამოირჩია გამგეობა, ხუთის კაცისაგან შემდგარი. ზოგი ამათგანი სოფელში მოქმედობს, ზოგი მუხიანში და ზოგიც ბათუმში. 17 მაისიდან 10 ივნისამდი უკვე გაიგზავნა კარგა ბლომად კომბოსტო ბათუმში, რომელშიაც ხაზინადრისაგან მიიღეს 2000 მანეთი, ფუთზე 70 კაპ. ანგარიშით. ეს მაგალითი ამტკიცებს ჩვენის გლეხების გამოფხიზლებას და ერთობის შეგნებას. ვუსურვოთ, რომ სხვა საქმეში გამოეჩინოთ ამგვარი ერთობა.

ბესოშვილი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივლისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.). ოფიციალურად გამოცხადებულია: ხმები პორტ არტურის აღების შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ვლადივოსტოკის ესკადრამ გაიარა სუნგარის სრუტე და რუსეთის სანაპიროსკენ მიდის.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე, რომელიც გენერალ ზარუბაევის რაზმის ბრძოლას დაესწრო დაშიჩაოსთან, იუწყება, რუსების არტილერია ერთობ კარგად ისროდა, იაპონელთა კი ცუდად. რუსებმა არა ერთჯერ ჩააჩუმეს იაპონელთა ბატარეები. რუსებმა სრულის წესითა და სიწყნარით დაიხიეს უკანაო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). მოსულნი ჯონკით, რომელიც პორტ-არტურიდან სამშაბათს შუაღამეს გამოვიდა, ირწმუნებიან, რომ უკვე სამი დღეა, რაც საშინელი ბრძოლაა ზღვაზე და ხმელეთზე.

ლიაოიანი. 11 ივლისს დაშიჩაოს ბრძოლაში არტილერიამ დიდ-ძალი ყუმბარა ისროლა. რუსებმა ჩააჩუმეს იაპონელთა 6 ბატარეა მათი პოზიციის შუაგულში. ჩინელები ირწმუნებიან, იაპონელთა ზარალი 10 ათას კაცს აღემატებაო.

მუკდენი. 16 ივლისი (სააგ. საკუთ. კორესპ.). 9 ივლისს პორტ-არტურიდან ხმა მოვიდა, ციხეში სიწყნარეა. შეტაკებანი მხოლოდ ციხის ახლო-მახლო მიდამოებში ხდება. წესიერი ალყის შემორტყმა ჯერ არ დაწყებულაო.

სტამბოლი. („ვოლფ. სააგ.“). ამბავი, თითქო პორტას შეეტყობინებიოს რუსეთისათვის, ამას იქით ველარ გავუშვებ დობროვოლნი ფლოტის გემებს ბოსფორში ც დარდანელშიო, სიმართლეს მოკლებულია. აქაური საპოლიტიკო წრეებს არა ჰგონიათ, რომ ბოლოს დროს მომხდარ შემთხვევათა გამო აღძრულიყოს საკითხი სრუტეთა შესახებ.

ვაშინგტონი. აქაური ოფიციალური წრეები იმ აზრს ადგანან, რომ სანეიტრალო გემების დაღუპვა საერთაშორისო უფლების ყველა პრინციპებს ეწინააღმდეგება და ამის გამო ენერგიული პროტესტი უნდა იქნას გამოცხადებულიო. „ნაიტ-კომმანდერ“-ის ტვირთის პატრონების წარმომადგენელთ თათბირი ჰქონდათ სახელმწიფო დეპარტამენტის პროკურორთან რუსეთის მთავრობისათვის ფორმალური საჩივარის გაგზავნის შესახებ.

ჟიტომირი. წავიდა შორეულ აღმოსავლეთში საავადმყოფო რაზმი ასი ლოგინის მოწყობილობით. რაზმი აქაურმა წითელ ჯვრის გამგეობამ შეადგინა.

სემიპალატინსკი. 17 ივლისს აკურთხეს და გახსნეს სახალხო სახლი და ადგილობრივ წითელ ჯვრის საავადმყოფო ავადმყოფთა და 40 დაჭრილთათვის.

18 ივლისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). საღამოს ოფიციალურ ბიულეტენში გამოცხადებულია, რომ 13 ივლისიდან პორტ-არტურთან იაპონელებს მოუკლეს 5 აფიცერი და დაუჭრეს—41. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენი სალდათია მოკლული და დაჭრილი. ეს პირველი ბიულეტენია მას შემდეგ, რაც ციხეს ალყა შემოარტყეს და ნიშნავს, რომ დიდი ბრძოლა უნდა მომხდარიყოს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). კოლონიების მინისტრმა ლიტლონმა სიტყვა წარმოსთქვა ლიმინგტონში, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა: „თუმცა მინისტრთა კაბინეტის პირველი მოვალეობაა ჩვენ მოქალაქეთა ცხოვრების, ქონების და თავისუფლების დაცვა, მაგრამ ჩვენ უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკების დაწყების დროს უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო მშვიდობიანად არის განწყობილი ჩვენდამი· რაც უნდა პროტესტი წარვუდგინოთ, ისე უნდა გამოვთქვათ, რომ უცხო სახელმწიფოს პატიოსნებას არ შევეხოთ.

კიევი. კიევის ეპარხიის სამღვდელოებამ ომის დაწყებიდან წარადგინა კონსისტორიაში პირადი შემოწირულებანი და ყულაბებით შეგროვილი 50 ათასი მან. ავადმყოფთა და დაჭრილთათვის. ამ ფულიდან 20 ათასი მან. მანჯურიის არმიის მთავარ სარდლის განკარგულებაში გაიგზავნა.

პეტერბურგი. 16 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა პეტერბურგში შორეულ აღმოსავლეთში მიმავალნი მე-145 ნოვოჩერკასკისა და მე-146 ცარიცინის პოლკები. ჯარის დათვალიერებას დაესწრო ხელმწიფე დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები. ხელმწიფემ გადასცა მუხლ-მოდრეკილ პოლკებს ხატები და ჯანმრთელად და უვნებლად დაბრუნება უსურვა. ორივე პოლკმა აღტაცებულ „ურა“-თი უპასუხეს.

17 ივლისი

პეტერბურგი. გერმანიის ელჩმა გრაფმა ალვენსლებენმა, იმპერიის კანცლერის მინდობილობით, გერმანიის იმპერიის სახელით სამძიმარი გამოუცხადა რუსეთის მთავრობას სტატს-სეკრეტარის პლევეს უდროო გარდაცვალების გამო.

ბელგრადი. მეფის მირონცხება მოხდება აგვისტოს დამლევს ჟიჩის მონასტერში, მხოლოდ სერბიის მინისტრთა დასწრებით, გვირგვინის კურთხევას კი დიდის ამბით გადაიხდიან ბელგრადში 8 ენკენისთვეს.

რომი. ვატიკანში მყოფი საფრანგეთის საელჩოს მდივანი 18 ივლისს საფრანგეთში წავა.

სტამბოლი. (სპეციალური). საელჩონი ერთნაირ წინადადებით მიმართავენ პორტას, რომელშიაც გამოცხადებული იქნება პროტესტი საგარეო გადასახადის ახალ კანონის წინააღმდეგ და აგრეთვე ისა, რომ ოსმალეთის მთავრობა პასუხს აგებს იმ ზარალისათვის, რომელსაც მოხსენებული კანონი უცხოელებს მიაყენებს.—საბერძნეთის პატრიარქმა განცხადება გაუგზავნა დიდ ვეზირს მაკედონიაში ბოლგარელ მეამბოხეთა უწესო მოქმედების გამო ბერძენთა წინააღმდეგ.

სემიპალატინსკი. ქალაქს ნება დართეს აიღოს გრძელვადიანი, უპროცენტო სესხი, 50 ათასი მანეთი საერთო თანხიდან ქალთა გიმნაზიის შენობის ასაგებად.

18 ივლისი

პეტერბურგი. 8 ივლისს დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება ფინლანდიაში არსებულ ბეჭდვითი საქმის კანონთა შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ქვრივმა მიიღო შემდეგი დეპეშები: მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისაგან: **„სიტყვებით ნუგეშის ცემა ძნელია, მაგრამ გჯეროდეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა თქვენ მძიმე და მოულოდნელ მწუხარებაში. ღმერთმა მოგცეთ ძალა თქვენ და თქვენ ოჯახს მისგან მოვლენილ განსაცდელის ასატანად. ალექსანდრა, ნიკოლოოზ“** ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დეპეშა: **„თავზარი დამცა საზიზღარმა ბოროტ-მოქმედებამ და საშინელმა უბედურებამ, რომელიც თქვენ გეწიათ გიცხადებთ გულითად თანაგრძნობას მძიმე მწუხარებაში· მარიამ“.**

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,37½	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,55	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92⅜	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88⅞	
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	390½	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	300¼	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260¼	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	88½	„
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	187½	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. [illegible]4 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის [illegible] ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ა. იმამ[illegible]ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრანიის ახლოს. (წ.—176—62)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო-დედათა და თვალის ავადმყოფთათვის, [illegible] განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა

Электропеч. Груз. Изд. То—ва